



**სსდ საავტომობილო  
გზების დეპარტამენტი**

აღ. ყაზბეგის გამზ. N12  
0160, თბილისი, საქართველო  
+995 32 2 370 508  
info@georoad.ge

04 დეკემბერი 2024



MRDI-RD N 2-15/18052

**შპს "ერ ტე დე"-ს (ს/ნ: №406102550)  
დირექტორს, ბ-ნ ლუხუმ ქართლოსიშვილს**

მის: საქართველო, თბილისი,  
ნიაღვრის ქ., №4., ბინა №3  
ელ.ფოსტა: [ertedeltd@gmail.com](mailto:ertedeltd@gmail.com)

**საგანი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№12-24 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა**

**ბატონო ლუხუმ,**

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) და შპს "ერ ტე დე"-ს (ს/ნ: №406102550) (შემდგომში - მიმწოდებელი) შორის 2024 წლის 18 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№12-24 ხელშეკრულების (NAT230022389) (შემდგომში - ხელშეკრულება) შესაბამისად, მიმწოდებელი აწარმოებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-63) იგოეთი-კასპი-ახალქალაქის საავტომობილო გზის კმ9-კმ20 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს ზედამხედველობას უწევს საერთაშორისო საზედამხებდველო ორგანიზაცია - სს „Egis International“ (შემდგომში - საზედამხებდველო ორგანიზაცია).

**ფაქტობრივი გარემოებები**

ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს დეპარტამენტის შესაბამის წერილობით შეტყობინებაში განსაზღვრული თარიღიდან. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თავდაპირველად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა სამუშაოების დაწყების შესახებ შემსყიდველის წერილობითი დავალების გაცემიდან 12 (თორმეტი) თვეში, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა ეწარმოებინა ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

დეპარტამენტის 2024 წლის 28 თებერვლის №2-04/2579 წერილით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს დაევალა სამუშაოების დაწყება 2024 წლის 1 აპრილიდან და შესაბამისად, 2024 წლის 21 მარტს ხელშეკრულებაზე გაფორმებული დანართი №1-ით ხელშეკრულებას დაემატა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ჯეროვნად შეასრულოს 2025 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდამდე.

მიმწოდებელმა უგულებელყო დეპარტამენტის და საზედამხედველო ორგანიზაციის არაერთი გაფრთხილება ხელშეკრულებაზე დართული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად სამუშაოების წარმოების შესახებ. აღნიშნული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, 2024 წლის 1 ოქტომბრამდე მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა 4 250 000.00 ლარის ღირებულების სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე არ არსებობდა არანაირი დამაბრკოლებელი გარემოება სამუშაოების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების დაწყება და შემდგომში მალალი ტემპით წარმოება.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეებში მიმწოდებელს საერთოდ არ უწარმოებია სამუშაოები და დეპარტამენტში არ წარმოუდგენია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიმწოდებელს მიეცა მკაცრი გაფრთხილებები (მაგ; დეპარტამენტის 2024 წლის 29 აგვისტოს №2-04/13001 წერილი, დეპარტამენტის 2024 წლის 5 სექტემბრის №2-04/13245 წერილი, დეპარტამენტის 2024 წლის 6 სექტემბრის №2-04/13348 წერილი) ობიექტზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით და ეცნობა, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მიიღებდა შესაბამის ზომებს არსებული ვითარების გამოსასწორებლად და ვერ უზრუნველყოფდა საჭირო მანქანა-დანადგარების/პერსონალის მობილიზებასა და ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეთანხმებულ დროში დასრულებას, დეპარტამენტი განიხილავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მკაცრი ზომების გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 9 სექტემბრის №09/09-02 წერილით მიმწოდებელმა დეპარტამენტის 2024 წლის 6 სექტემბრის №2-04/13348 წერილის პასუხად განაცხადა, რომ კომპანია იწყებდა სამობილიზაციო სამუშაოების განხორციელებას და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებას. აღნიშნულის მიუხედავად, საზედამხედველო ორგანიზაციის 2024 წლის 15 ოქტომბრის №NAT230001253/RR/2457 წერილით დგინდება, რომ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ობიექტზე კვლავ არ იყო დაწყებული სამუშაოები, ამასთან, არ იყო მობილიზებული საჭირო ტექნიკა და მასალები.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ მიმწოდებელმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მისი მხრიდან ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ვერ შეფასდება, როგორც კეთილსინდისიერი და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისაკენ მიმართული მოქმედებების ერთობლიობა.

დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი ობიექტური და გამამართლებელი გარემოება, რაც შეიძლება, მიმწოდებლის კონტროლს მიღმა ყოფილიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წლის განმავლობაში მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო დეპარტამენტთან გაფორმებული სხვა რამდენიმე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რის გამოც დეპარტამენტმა ცალმხრივად შეწყვიტა ეს ხელშეკრულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ მიმწოდებელს არ გააჩნდა შესაბამისი რესურსი და ინტერესი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ვინაიდან მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულება, 2024 წლის 15 ოქტომბრის №NAT230001253/RR/2457 წერილით საზედამხედველო ორგანიზაციამ გასცა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაცია.

## სამართლებრივი გარემოებები

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებს შორის გაფორმებულია ნარდობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მენარდე (მიმწოდებელი) კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი (დეპარტამენტი) ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამასთან, მხარეები მოქმედებენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ, კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობას.

მოცემული ურთიერთობა, ისევე, როგორც მთელი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს, რაც საკუთარ თავში მოიაზრებს პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ვერ შეფასდება როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისაკენ მიმართული მოქმედებების ერთობლიობა. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იმ გაფრთხილებების რაოდენობა, რაც მიმწოდებელმა მიიღო როგორც დეპარტამენტისგან, ისე სახელმწიფო ორგანიზაციისგან, თუმცა, აღნიშნული გაფრთხილებების მიუხედავად, მიმწოდებელს ობიექტზე სამუშაოები არც კი დაუწყია. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეშად დარღვევაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მან ვერ უზრუნველყო საჭირო ტექნიკის და მასალების მობილიზება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ დროს, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. ხელშეკრულების ფარგლებში ადგილი ჰქონდა ყოველივე ზემოაღნიშნულის შეუსრულებლობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

იქიდან გამომდინარე, რომ ადგილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მრავალჯერად შეუსრულებლობას და გაფრთხილებების სისტემატურ უგულებელყოფას, თვალსაჩინოა, რომ მიმწოდებელმა უხეშად დაარღვია ხელშეკრულების პირობები.

## ხელშეკრულების შეწყვეტა

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, მის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კანონმდებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. ვალდებულების დარღვევა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია არ აქვს, თუ რომელი ფორმით განხორციელდა დარღვევა. აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია იმ

შემთხვევაში, როდესაც დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს. მოცემულ შემთხვევაში კი მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების არსებით დარღვევას. როგორც უკვე აღინიშნა, არაერთი სიტყვიერი თუ წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების არათუ შეთანხმებულ ვადაში შესრულება, არამედ მის მიერ სამუშაოების წარმოების პროცესი არც დაწყებულა. შესაბამისად, მან უხეშად დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლები, კერძოდ, ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი დეპარტამენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულების პირობებს. ამასთან, ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტი უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შესაძლებელია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დეპარტამენტის ინტერესს წარმოადგენდა სამუშაოების განხორციელება, რასაც მოწმობს დეპარტამენტის მხრიდან ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ძალისხმევის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

არსებული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულია, რომ დარჩენილ დროში სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდება. დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი ობიექტური გარემოება, რაც შეიძლებოდა, მიმწოდებლის კონტროლს მიღმა ყოფილიყო. აღნიშნული კი წარმოშობს დეპარტამენტის უფლებას, საქართველოს კანონმდებლობის და ხელშეკრულების შესაბამისად ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დეპარტამენტი იყენებს ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უხეში დარღვევის და შეუსრულებლობის საფუძველზე **ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას.**

ამასთან, დეპარტამენტი ერთმნიშვნელოვნად იტოვებს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა უფლებას და აცხადებს, რომ წინამდებარე შეტყობინება არ ზღუდავს მას, გამოიყენოს ნებისმიერი სხვა უფლება. დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს მიმწოდებლისგან იმ ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება მას მიადგეს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად.

**პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკის შეუსრულებლობისთვის**

მიმწოდებელმა დაარღვია მხარეთა შორის 2024 წლის 21 მარტს გაფორმებული დანართი №1-ით შეთანხმებული, ხელშეკრულებაზე დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკის 2024 წლის მაისის თვიდან 2024 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, თითოეული თვისთვის განსაზღვრული ვალდებულებები ***(საერთო ჯამში 6 (ექვსი) თვე)***, აღნიშნული ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის ობიექტური და საპატიო გარემოებების არარსებობის პირობებში.

როგორც საზედამხედველო ორგანიზაციის, ისე დეპარტამენტის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სამშენებლო მოედანზე არ იყო მობილიზებული სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკა და მასალები და მიმწოდებელს საერთოდ არ დაუწყია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება.

შესაბამისად, ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი და მე-9 პუნქტების საფუძველზე, **თითოეული თვისთვის** თქვენ გეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (14 899 999.73 (თოთხმეტი მილიონ რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ლარი) 1%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 149 000 (ას ორმოცდაცხრა ათასი) ლარს. შესაბამისად, 6 (ექვსი) თვის (2024 წლის მაისიდან 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით) განმავლობაში ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისთვის, ჯამურად გეკისრებათ პირგასამტეხლო **894 000 (რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარის** ოდენობით.

### **პირგასამტეხლოს დაკისრება ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის**

ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებული იყო სამუშაოს შესრულების პროცესში ეხელმძღვანელა ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ვალდებულების შესრულების ინსტიტუტი შეადგენს სამოქალაქო სამართლის ნაწილს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოცემულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას, კერძოდ, სახეზეა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

შესაბამისად, ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისთვის/შეუსრულებლობისთვის თქვენ გეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (14 899 999.73 (თოთხმეტი მილიონ რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ლარი) 1%-ის ოდენობით, რაც შეადგენს **149 000 (ას ორმოცდაცხრა ათასი) ლარს**.

ამასთან, ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური ოდენობა მთლიანობაში შეადგენს **1 043 000 (ერთი მილიონ ორმოცდასამი ათასი) ლარს**, რაც აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს და ხელშეკრულების შეწყვეტის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოთ ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე წერილით დაკისრებული პირგასამტეხლო **ჯამში 1 043 000 (ერთი მილიონ ორმოცდასამი ათასი) ლარის** ოდენობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე, შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - სახელმწიფო ხაზინა;

კოდი - TRESGE22;

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 302003287;

**გადახდის დანიშნულება** - შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან.

**დამატებითი ინფორმაცია** - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სასარგებლოდ გადახდილი პირგასამტეხლო.

გთხოვთ, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ დეპარტამენტში წერილობითი სახით (გთხოვთ, მიუთითოთ წინამდებარე წერილის და ხელშეკრულების ნომერი). პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დეპარტამენტი მიმართავს საქართველოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზომებს.

პატივისცემით,

სალომე ნურნუმია



დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

